[საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3119 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.](#)

[საქართველოს 2018 წლის 5 სექტემბრის კანონი №3401 – ვებგვერდი, 25.09.2018წ.](#)

[საქართველოს 2018 წლის 13 დეკემბრის კანონი №3957 – ვებგვერდი, 25.12.2018წ.](#)

[საქართველოს 2023 წლის 3 ივლისის კანონი №3456 – ვებგვერდი, 25.07.2023წ.](#)

მუხლი 229⁷. ამ კოდექსის 42¹⁰, 42¹¹ და 177¹⁵ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განმხილველი ორგანოები

1. ამ კოდექსის 42¹⁰ ან 42¹¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას და შესაბამისი ოქმის შედგენას, აგრეთვე, თუ აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ადმინისტრაციულ გამოკვლევას არ საჭიროებს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვას და ადმინისტრაციული სახდელის ადგილზევე დადებას, ასევე ამ კოდექსით განსაზღვრულ სხვა შესაბამის უფლებამოსილებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების გარდა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი ორგანოებიც ახორციელებენ.

2. ამ კოდექსის 177¹⁵ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას და შესაბამისი ოქმის შედგენას, აგრეთვე, თუ აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ადმინისტრაციულ გამოკვლევას არ საჭიროებს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვას და ადმინისტრაციული სახდელის ადგილზევე დადებას, ასევე ამ კოდექსით განსაზღვრულ სხვა შესაბამის უფლებამოსილებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების გარდა, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ან/და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი ორგანოებიც ახორციელებენ.

[საქართველოს 2020 წლის 23 აპრილის კანონი №5887 – ვებგვერდი, 24.04.2020წ.](#)

[საქართველოს 2020 წლის 12 ივნისის კანონი №6344 – ვებგვერდი, 12.06.2020წ.](#)

მუხლი 229⁸. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საპენსიო სააგენტო

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს შესაბამის ორგანოებს/სამსახურებს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აქვთ



ამ კოდექსის 165¹¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება.
[საქართველოს 2023 წლის 1 ნოემბრის კანონი №3609 – ვებგვერდი, 20.11.2023წ.](#)

კარი IV. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება

თავი XVII. ძირითადი დებულებანი

მუხლი 230. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა, მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, გამოტანილი დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონების დაცვის სულისკვეთებით, კანონიერების განმტკიცება.

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1992 წ., მუხ. 128](#)

მუხლი 231. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი იმ ორგანოებში (თანამდებობის პირთა მიერ), რომლებიც უფლებამოსილნი არიან განიხილონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსით და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1992 წ., მუხ. 128](#)

[საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1625 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ. 112](#)

მუხლი 232. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების გამომრიცხავი გარემოებები

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე უნდა შეწყდეს:

- ა) თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი არ არსებობს;
- ბ) იმ პირის მიმართ, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისთვის 16 წელი არ შესრულებია;
- გ) თუ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ან უმოქმედობის ჩამდენი პირი შეურაცხია;
- დ) თუ პირი უკიდურესი აუცილებლობის ან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედებდა;
- ე) თუ მიღებული ამნისტიის აქტი აუქმებს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებას;
- ვ) თუ გაუქმდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი აქტი;
- ზ) თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისთვის გასულია ამ კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი ვადები;

თ) თუ არსებობს იმავე ფაქტზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ კომპეტენტური ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ან ამხანაგური სასამართლოს გაუუქმებელი გადაწყვეტილება, თუ ამხანაგურ სასამართლოს მასალები იმ ორგანომ (თანამდებობის პირმა) გადასცა, რომელსაც აქვს მოცემულ საქმეზე ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება, ან გაუუქმებელი დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე იმავე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის არსებობისას;

ი) თუ პირი, რომლის მიმართაც დაწყებული იყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, გარდაიცვალა;

კ) თუ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება აღსასრულებლად არ მიქცეულა ამ კოდექსის 287-ე მუხლით დადგენილ ვადაში, ხოლო საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება აღსასრულებლად არ მიქცეულა ამ კოდექსის 288⁸ მუხლით დადგენილ ვადაში;

ლ) საურავის დარიცხვის შემთხვევაში, თუ საჯარო ქვითარი არ ჩაბარებულა ამ კოდექსის შესაბამისად.

[საქართველოს 2012 წლის 20 მარტის კანონი №5916 – ვებგვერდი, 30.03.2012წ.](#)

[საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №453 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.](#)

[საქართველოს 2020 წლის 17 ივლისის კანონი №7059 – ვებგვერდი, 29.07.2020წ.](#)

მუხლი 233. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავენ კანონის და საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის საწყისებზე წარმოშობის, სოციალური და



ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

მუხლი 234. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ღია განხილვა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განხილვა ღიად.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების აღმზრდელი და გამაფრთხილებელი როლის ამალგების მიზნით ასეთი საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს უშუალოდ შრომით კოლექტივებში, დამრღვევის სწავლის ან საცხოვრებელ ადგილას.

მუხლი 234¹. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვა

ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, რაც გულისხმობს საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამორკვევას, მის გადაწყვეტას საქართველოს კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, ადგილზე ადმინისტრაციული სახდელის დადებას და საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას დამრღვევისათვის.

[საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2962 – სსმ I, №15, 16.05.2006წ., მუხ.110](#)

მუხლი 235. საპროკურორო ზედამხედველობა კანონების შესრულებაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას

პროკურორს, ახორციელებს რა ზედამხედველობას კანონების შესრულებაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას, უფლება აქვს აღძრას წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ; გაეცნოს საქმის მასალებს; შეამოწმოს ორგანოების (თანამდებობის პირთა) მოქმედების კანონიერება საქმის წარმოების დროს; მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში; განაცხადოს შუამდგომლობანი, მისცეს დასკვნები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ საკითხებზე; შეამოწმოს შესაბამისი ორგანოების (თანამდებობის პირთა) მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების სისწორე; გააპროტესტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გამო შეტანილ საჩივარზე მიღებული დადგენილება და გადაწყვეტილება; შეაჩეროს დადგენილების აღსრულება, აგრეთვე შეასრულოს კანონით გათვალისწინებული სხვა მოქმედებანი.

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1992 წ., მუხ.128](#)

მუხლი 236. მტკიცებულებანი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

2. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

[საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი №2962 – სსმ I, №15, 16.05.2006წ., მუხ.110](#)

[საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კანონი №4191 – სსმ I, №49, 29.12.2006წ., მუხ.359](#)

[საქართველოს 2007 წლის 8 მაისის კანონი №4707 – სსმ I, №18, 22.05.2007წ., მუხ.137](#)

მუხლი 237. მტკიცებულებათა შეფასება

ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონითა და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში.

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ. I, 1992 წ., მუხ.128](#)

მუხლი 238. პროკურორისათვის ან გამოძიების ორგანოსათვის მასალების გადაცემა

თუ საქმის განხილვის დროს ორგანო (თანამდებობის პირი) დაასკვნის, რომ დარღვევა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, იგი მასალებს გადასცემს პროკურორს ან გამოძიების ორგანოს.

[საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონი №1350 – სსმ I, №19, 28.04.2005წ., მუხ.122](#)

[საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის კანონი №3619 – სსმ I, №51, 29.09.2010 წ., მუხ.332](#)

მუხლი 238¹. მოსამართლის უფლებამოსილება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის განხორციელების ან შესაძლო



განხორციელების შემთხვევაში

თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისთვის მიმართავს შესაბამის გამოძიების ორგანოს.

[საქართველოს 2022 წლის 18 ოქტომბრის კანონი №1912 – ვებგვერდი, 28.10.2022წ.](#)

თავი XVIII. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

მუხლი 239. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ შედგება ოქმი, საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ საზოგადოებრივი თვითმომქმედების ორგანოს წარმომადგენლის მიერ, ოქმი არ დგება [ამ კოდექსის 242-ე მუხლით](#) გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. [\(ამოღებულია - 29.09.2020, №7185\).](#)

2¹. ამ კოდექსის 42³ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. [ამ კოდექსის 57² მუხლით](#), 60¹ მუხლის მე-2 ნაწილით, [61-ე](#), [95-ე](#), [128¹](#) და [173⁵ მუხლებით](#) გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები.

4. ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე–51², 51⁴–53², 54-ე, 54¹, 55¹, 55⁴, 56-ე და 57¹ მუხლებით, 57⁵ მუხლის პირველი ნაწილით, მე-2 ნაწილით (გადამუშავების ნაწილში) და მე-3 და მე-4 ნაწილებით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58¹–59-ე, 59³, მე-60, 60³, 61¹, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69⁴–69⁶, 71-ე, 71¹, 72¹–77-ე, 78-ე და 79¹–79³ მუხლებით, 79⁴ მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 79⁵ მუხლით, 79⁶ მუხლით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში), 79⁷, 79⁸ და 82¹–82⁴ მუხლებით, 82⁵ მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების ნაწილში), 84-ე–86-ე, 86², 87¹–87³ და 89-ე–89³ მუხლებით, 91³ მუხლის მე-3 ნაწილით, 103¹, 104-ე, 119² და 128²–128⁶ მუხლებითა და 151-ე მუხლით (გარდა 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები.

[4. ამ კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე–51², 51⁴–53², 54-ე, 54¹, 55¹, 55⁴, 56-ე და 57¹ მუხლებით, 57⁵ მუხლის პირველი ნაწილით, მე-2 ნაწილით (გადამუშავების ნაწილში) და მე-3 და მე-4 ნაწილებით, 58-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58¹–59-ე, 59³, მე-60, 60³, 61¹, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 69⁴–69⁶, 71-ე, 71¹, 72¹–77-ე, 78-ე და 79¹–79³ მუხლებით, 79⁴ მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 ნაწილებით, 79⁵ მუხლით, 79⁶ მუხლით (ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტის ნაწილში), 79⁷, 79⁸ და 82¹–82⁴ მუხლებით, 82⁵ მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოების ნაწილში), 84-ე–86-ე, 86², 87¹–87³ და 89-ე–89³ მუხლებით, 91³ მუხლის მე-3 ნაწილით, 103¹, 104-ე, 119² და 128²–128⁶ მუხლებით, 151-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილისა) და 181⁶ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების უფლებამოსილი თანამშრომლები. [\(ამოქმედდეს 2024 წლის 1 ოქტომბრიდან\)](#)]

4¹. ამ კოდექსის 59² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლები.

4². [\(ამოღებულია – 25.03.2013, №453\).](#)

4³. ამ კოდექსის 51-ე, 51² და 54¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

4⁴. ამ კოდექსის 48-ე მუხლით, 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 51-ე მუხლით, 51¹ მუხლის პირველი ნაწილით, 51² და 51⁴–52-ე მუხლებით, 53¹ მუხლის პირველი ნაწილით, 53², 54-ე, 54¹ და 55¹ მუხლებით, 55⁴ მუხლის პირველი ნაწილით, 58-ე მუხლით (გარდა 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებისა), 58¹, 58³, მე-60, 60³, 61-ე, 63-ე და 63¹ მუხლებით, 64¹ მუხლის პირველი ნაწილით, 65-ე, 66-ე, 66¹ და 67-ე მუხლებით, 68-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით, 72¹ მუხლის პირველი ნაწილით, 73-ე, 74-ე, 76-ე და 85¹–85⁵ მუხლებით, 86-ე მუხლის პირველი–მე-9 და მე-13–21-ე ნაწილებით, 89-ე მუხლის პირველი ნაწილით, 89³ მუხლის პირველი და მე-3



ნაწილებითა და 104-ე და 128² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, თრუსოს დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია, არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე – დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია, მაჭახელას დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია, ტანისა და თემის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე – გორის მუნიციპალიტეტის მერია ან ამ ოქმებს ადგენენ მათ მიერ უფლებამოსილი პირები.

5. (ამოღებულია).

6. ამ კოდექსის 95-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ აგრეთვე გაზის მეურნეობის საამისოდ უფლებამოსილი მუშაკები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

7. (ამოღებულია).

8. (ამოღებულია).

9. ამ კოდექსის 92¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

10. ამ კოდექსის 88-ე და 144¹⁰ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი პირები ან იმავე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

10¹. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ამ კოდექსის 88-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი პირები.

11. ამ კოდექსის 107¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ პოლიციის, რკინიგზის, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის ორგანოების მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

[11. ამ კოდექსის 107¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ პოლიციის, სარკინიგზო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტისა და შიდა სახმელეთო წყლების ტრანსპორტის ორგანოების მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირები. (ამოქმედდეს 2025 წლის 2 იანვრიდან)]

[11¹. ამ კოდექსის 106¹-106³ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს უფლებამოსილი პირი. (ამოქმედდეს 2025 წლის 1 ივნისიდან)]

12. ამ კოდექსის 107² და 107³ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ მეტროპოლიტენით სარგებლობის წესების დაცვისადმი ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირები.

13. ამ კოდექსის 42¹⁰, 45-ე, 45¹, 58³, 86¹, 100², 107-ე, 107⁵, 114¹, 114², 115¹, 116-ე-116⁸ და 118-ე-123-ე მუხლებით, 125-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილისა), 127-ე მუხლით, 127¹ მუხლის პირველი-2² და მე-6-მე-7 ნაწილებითა და 134-ე, 135²-135⁴, 139⁵, 150-ე, 152⁷, 152⁸, 153³, 153⁶, 166-ე, 166², 167-ე, 173-ე, 173¹⁴, 173¹⁵, 174¹, 174¹⁵-174¹⁸, 175², 176¹, 176³, 177-ე, 177¹, 177¹⁵, 180-ე-183-ე, 190-ე, 190², 191-ე და 199¹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანო, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45¹, 166-ე და 197² მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.

[13. ამ კოდექსის 42¹⁰, 45-ე, 45¹, 58³, 86¹, 100², 107-ე, 107⁵, 114¹, 114², 115¹, 116-ე-116⁸ და 118-ე-123-ე მუხლებით, 125-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილისა), 127-ე მუხლით, 127¹ მუხლის პირველი-2² და მე-6-მე-7 ნაწილებითა და 134-ე, 135²-135⁴, 139⁵, 150-ე, 152⁷, 152⁸, 153³, 153⁶, 166-ე, 166², 167-ე, 173-ე, 173¹⁴, 173¹⁵, 174¹, 174¹⁵-174¹⁸, 175², 176¹, 176³, 177-ე, 177¹, 177¹⁵, 180-ე-181⁵, 182-ე-183-ე, 190-ე, 190², 191-ე და 199¹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანო, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45¹, 166-ე და 197² მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს



უფლებამოსილი პირი. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 ოქტომბრიდან)]

13. ამ კოდექსის 42¹⁰, 45-ე, 45¹, 58³, 86¹, 100², 107-ე, 107⁵, 114¹, 114², 115¹, 116-ე-116⁸ და 118-ე-123-ე მუხლებით, 125-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილისა), 127-ე მუხლით, 127¹ მუხლის პირველი-მე-2 და მე-6-მე-7 ნაწილებითა და 134-ე, 135²-135⁴, 139⁵, 150-ე, 152⁷, 152⁸, 153³, 153⁶, 166-ე, 166², 167-ე, 173-ე, 173¹⁴, 173¹⁵, 174¹, 174¹⁵-174¹⁸, 175², 176¹, 176³, 177-ე, 177¹, 177¹⁵, 180-ე-183-ე, 190-ე, 190², 191-ე და 199¹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანო. (ამოქმედდეს 2025 წლის 2 იანვრიდან)]

13. ამ კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის მიმართ ჩადენისას, აგრეთვე ამავე კოდექსის 246-ე მუხლის „გ¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი.

13². ამ კოდექსის 173 -ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს აღსრულების პოლიციელი.

14. ამ კოდექსის 43¹, 43², 51³, 53³, 55-ე, 55² და 55³ მუხლებით, 82⁵ მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 107⁴ მუხლით, 114² მუხლის მე-6 ნაწილით, 119¹ მუხლით, 127¹ მუხლის მე-5 ნაწილითა და 145-ე, 146¹, 148-ე, 150-ე-151-ე, 152-ე, 152³, 153³, 153⁴, 153⁶, 158⁴, 159-ე და 159¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ უფლებამოსილი პირები.

14¹. ამ კოდექსის 46⁵, 46⁶, 172⁸ და 172⁹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს მუნიციპალიტეტის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი სამსახურის თანამდებობის პირი.

15. (ამოღებულია).

16. ამ კოდექსის 153-ე, 153¹, 154¹, 154², 155¹, 158-ე, 158¹, 159⁴, 163-ე, 165³ და 178-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანოები ან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანოების უფლებამოსილი პირები.

16¹. ამ კოდექსის 159¹⁰ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები და შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები.

17. (ამოღებულია).

18. ამ კოდექსის 173³ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს შეადგენს დროებითი საგამომიებო კომისიის თავმჯდომარე.

18¹. ამ კოდექსის 173¹⁴ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილი პირები.

19. ამ კოდექსის 79⁴ მუხლის მე-2-მე-5 ნაწილებით, 82⁵ მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 91² მუხლით, 91³ მუხლის პირველი ნაწილით, 127¹ მუხლის მე-2 ნაწილით, 135² მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153-ე, 153¹, 153⁵, 155¹-155³, 155⁵ და 155⁶ მუხლებით, 155⁷ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155⁹, 155¹⁰, 157-ე, 158-ე, 164-ე, 164⁴ და 165-ე-165³ მუხლებით, 171⁴ მუხლის მე-2 ნაწილითა და 171⁵, 176⁴-176⁶, 178-ე, 179³, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში – ამ კოდექსის 42¹⁰ მუხლით, 127¹ მუხლის 3¹ და 3² ნაწილებითა და 174¹⁷ და 177¹⁵ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები.

[19¹. ამ კოდექსის 155⁸ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები. (ამოქმედდეს 2024 წლის 31 ივლისიდან)]

20. ამ კოდექსის 173⁴ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს სახალხო დამცველი.

21. ამ კოდექსის 173⁵ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს



ადგენენ კანონით განსაზღვრული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

22. ამ კოდექსის 179² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები.

23. ამ კოდექსის 174² მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიები, მის მიერ უფლებამოსილი პირები ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

24. 177⁸ და 177⁹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექტორები.

24¹. (ამოღებულია).

24². (ამოღებულია).

24³. (ამოღებულია).

25. (ამოღებულია – 08.05.2012, №6156).

26. (ამოღებულია – 01.07.2011, №5004).

27. ამ კოდექსის 55⁵, 55⁶, 64², 77¹, 77², 107² და 107³ მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125²-125⁴ მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134¹, 135-ე-135⁵, 146¹, 150¹-150³, 151¹, 152-ე, 152²-152⁹, 153³, 153⁶, 153⁹, 156¹, 158³ და 158⁴ მუხლებით, 158⁵ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 159¹ და 166² მუხლებითა და 172-ე მუხლით (იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას, რაც გამოიხატება არასრულწლოვანის მიერ ვანდალიზმის ჩადენით) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ამ კოდექსის 290⁶ მუხლის გათვალისწინებით ადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.

28. ამ კოდექსის 127¹ მუხლის მე-8 ნაწილითა და 139⁶ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში – ამ კოდექსის 127¹ მუხლის 2¹, 2², 3¹ და 3² ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილ პირს.

28¹. ამ კოდექსის 56-ე, 57-ე და 57²-57⁴ მუხლებით, 57⁵ მუხლის მე-2 ნაწილი (მოპოვების ნაწილში) და 59³, 84-ე და 84¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი თანამშრომლები.

29. ამ კოდექსის 91² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანო კანონით უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის საფუძველზე.

30. (ამოღებულია).

31. ადგილობრივი ტყის ფონდის მიწებზე ამ კოდექსის 49-ე, 51-ე, 51², 52-ე, 63-ე, 64-ე, 65-ე, 66-ე-67-ე, 68-ე, 71-ე, 73-ე-76-ე და 86-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

32. (ამოღებულია).

33. ამ კოდექსის 157¹-157⁴ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ან ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

34. ამ კოდექსის 94-ე მუხლით ენერგეტიკის სფეროში გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

35. ამ კოდექსის 141-ე-142-ე, 144¹, 144³-144⁵ და 144¹¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილი პირები.

36. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების და ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საქმიანობის სფეროში ჩადენილ, ამ კოდექსის 56-ე, 57-ე და 57² მუხლებით, 91³



მუხლის მე-2 ნაწილით და 96² და 173⁵ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

37. ამ კოდექსის 159⁵–159⁹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამოსილი პირები ან/და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანოები.

[37. ამ კოდექსის 165¹²–165²⁰ და 165²²–165²³ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო შესყიდვების სააგენტოს უფლებამოსილი პირები. ამ კოდექსის 165²¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ:

ა) საჯარო შესყიდვების სააგენტოს უფლებამოსილი პირები – თუ არ შესრულდა საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიერ საჯარო შესყიდვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს უფლებამოსილი პირები – თუ არ შესრულდა საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიერ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შერჩევის პროცესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება. (ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან)]

38. ამ კოდექსის 44², 44³, 44⁵, 44⁷–44¹¹ და 46²–46⁴ მუხლებით, 155⁷ მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებითა და 155¹¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები.

[38. ამ კოდექსის 44², 44³, 44⁵, 44⁷–44¹¹, 46²–46⁴ და 46⁷–46¹¹ მუხლებით, 155⁷ მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებითა და 155¹¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები. (ამოქმედდეს 2025 წლის 3 იანვრიდან)]

39. ამ კოდექსის 105² და 179⁵ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო.

39¹. (ამოღებულია – 08.05.2012, №6156).

40. (ამოღებულია).

41. ამ კოდექსის 58² მუხლითა და 86-ე მუხლის მე-10 და მე-11 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ გამოვლენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოსთან ერთად). ამ კოდექსის 86-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-5–მე-11 და მე-13–21-ე ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ გამოვლენის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოსთან ერთად).

42. ამ კოდექსის 46¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

[42. (ამოღებულია – 01.11.2023, №3622). (ამოქმედდეს 2025 წლის 3 იანვრიდან)]

43. (ამოღებულია).

44. ამ კოდექსის 43-ე, 44-ე და 44¹ მუხლებით, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 60¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და 60³, 173⁵ და 177¹¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

45. (ამოღებულია – 05.02.2020, №5707).

46. ამ კოდექსის 42⁵–42⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამოსილი პირები.

47. ამ კოდექსის 139² და 139³ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სახმელეთო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს, ხოლო 139⁴ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა



საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება – შესაბამისი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირებს.

47. ამ კოდექსის 109-ე და 111-ე-111¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლებამოსილი პირები.

[47². ამ კოდექსის 114⁵ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს უფლებამოსილი პირები. (ამოქმედდეს 2025 წლის 2 იანვრიდან)]

48. ამ კოდექსის 171¹ მუხლით (ყველა დაწესებულების (გარდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და პენიტენციური დაწესებულებისა), სატრანსპორტო საშუალების (გარდა რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა) მძღოლის, რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მესაკუთრის/მფლობელის, აგრეთვე ფიზიკური პირის მიმართ (გარდა ფიზიკური პირის მიერ რკინიგზის ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევისა)), 171³ და 191-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

49. (ამოღებულია – 08.05.2012, №6156).

50. ამ კოდექსის 96¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს ელექტროენერგეტიკის ან ბუნებრივი გაზის სექტორის სათანადო ლიცენზიატი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

51. ამ კოდექსის 44⁴ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

52. (ამოღებულია).

52¹. ამ კოდექსის 129¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევებში ქვეყნის საზღვრების შიგა სივრცეში ოქმებს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას ან მის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

53. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45¹ და 166-ე მუხლებით, 171¹ მუხლით (საქართველოს თავდაცვის ძალების დაწესებულების შენობა-ნაგებობაში ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის) და 197³ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, აგრეთვე პირის მიერ ამავე კოდექსის 194¹, 196¹, 196³, 196⁶, 196⁷, 197-ე, 197¹, 198-ე, 198¹ და 198² მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სათანადო უფლებამოსილი პირი.

54. (ამოღებულია – 28.12.2011, №5662).

55. ამ კოდექსის 185-ე, 185¹ და 185² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

56. ამ კოდექსის 128² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები ან/და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

57. ამ კოდექსის 99-ე და 165¹⁰ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

58. (ამოღებულია).

59. (ამოღებულია – 27.12.2011, №5653).

60. ამ კოდექსის 172⁴, 172⁵, 173⁶, 173⁷, 173⁹ და 175¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები, ხოლო ამ კოდექსის 172⁷ და 173¹³ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს – მეურვეობისა და



მზრუნველობის ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

60¹. ამ კოდექსის 155-ე, 166¹, 170-ე, 171-ე და 172-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოების უფლებამოსილი პირები.

60². [\(ამოღებულია – 22.12.2018, №4100\).](#)

61. ამ კოდექსის 96⁴ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს პირველადი წყალმოსარგებლე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

62. ამ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

63. [\(ამოღებულია - 28.06.2021, №708\).](#)

64. სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მყოფი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეების მიერ ამ კოდექსის 45-ე და 45¹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში აღნიშნულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომელი.

65. [\(ამოღებულია - 16.09.2020, №7128\).](#)

66. [\(ამოღებულია - 21.09.2023, №3538\).](#)

67. [\(ამოღებულია - 21.09.2023, №3538\).](#)

68. ამ კოდექსის 172⁶ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს თავისი/თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს/ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან მათ მიერ უფლებამოსილი პირები.

69. ამ კოდექსის 177¹² მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) უფლებამოსილი პირები.

70. ამ კოდექსის 153⁷, 153⁸ და 153¹⁰-153¹² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი პირები.

71. ამ კოდექსის 171¹ მუხლით (თავდაცვის ძალების დაწესებულების შენობა-ნაგებობაში ჩადენილი დარღვევებისათვის) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანოები.

72. ამ კოდექსის 158⁵ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 171² მუხლითა და 171⁴ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილი პირები. ამ კოდექსის 158⁵ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისას შესამღებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადგილზე არ შედგეს. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე სამართალდამრღვევის ხელმოწერა სავალდებულო არ არის. ოქმი გადაეცემა ან ეგზავნება სამართალდამრღვევს, ხოლო თუ ოქმის ჩაბარება ადრესატისთვის ვერ ხერხდება, ოქმი ქვეყნდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებგვერდზე.

73. ამ კოდექსის 177¹³ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს (გარდა ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) ადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის უფლებამოსილი პირი. ამ კოდექსის 245-ე მუხლის 4¹ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს პოლიციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

74. ამ კოდექსის 191¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ოქმს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის სათანადოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.

75. ამ კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები (წყალმომარაგების ლიცენზიატები) (მათ მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები) მათ მიერვე დამტკიცებული ფორმების



შესაბამისად.

76. ამ კოდექსის 165¹¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილი პირები მათ მიერვე დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

[საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 4 სექტემბრის ბრძანებულება №2790 – საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, №9, სექტემბერი, 1990 წ., მუხ.241](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 ივნისის კანონი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №6, ივნისი, 1991 წ., მუხ.429](#)

[საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 აგვისტოს დეკრეტი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, ტ.1, 1992 წ., მუხ.128](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 8 ივლისის კანონი №290 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №9, ივლისი, 1993 წ., მუხ.160](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 13 ივლისის კანონი №298 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №9, ივლისი, 1993 წ., მუხ.168](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 15 თებერვლის კანონი №416 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №15, თებერვალი, 1994 წ., მუხ.287](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 მარტის კანონი №436 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №16, მარტი, 1994 წ., მუხ.308](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 30 ივნისის კანონი №541 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №19, ივნისი, 1994 წ., მუხ.418](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 23 თებერვლის კანონი №656 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №27-30, 1994-1995წწ., მუხ.663](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 7 მარტის კანონი №667 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №23-26, დეკემბერ-მარტი, 1994-1995წწ., მუხ.542](#)

[საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 19 სექტემბრის კანონი №808 – საქართველოს პარლამენტის უწყებები, №31-33, აგვისტო-ოქტომბერი, 1995 წ., მუხ.689](#)

[საქართველოს 1996 წლის 31 მაისის კანონი №263 – პარლამენტის უწყებანი, №15, 19.06.1996წ., გვ.15](#)

[საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი №313 – პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.1996წ., გვ. 32](#)

[საქართველოს 1996 წლის 27 ივნისის კანონი №318 – პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.1996წ., გვ.26](#)

[საქართველოს 1996 წლის 12 ნოემბრის კანონი №478 – პარლამენტის უწყებანი, №31-32/6, 25.12.1996წ., გვ.11](#)

[საქართველოს 1996 წლის 27 ნოემბრის კანონი №510 – პარლამენტის უწყებანი, №31-32/6, 25.12.1996წ., გვ.4](#)

[საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონი №648 – პარლამენტის უწყებანი, №17-18, 09.05.1997წ., გვ.44](#)

[საქართველოს 1997 წლის 1 მაისის კანონი №682 – პარლამენტის უწყებანი, №21-22, 31.05.1997წ., გვ. 3](#)

[საქართველოს 1997 წლის 12 ივნისის კანონი №759 – პარლამენტის უწყებანი, №33, 31.07.1997წ., გვ.3](#)

[საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონი №815 – პარლამენტის უწყებანი, №33, 31.07.1997წ., გვ.11](#)

[საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი №974 – პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.81](#)

[საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი №984 – პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997წ., გვ.83](#)

[საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონი №1025 – პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997წ., გვ. 45](#)

[საქართველოს 1997 წლის 10 დეკემბრის კანონი №1141 – პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997წ., გვ. 163](#)

[საქართველოს 1998 წლის 18 თებერვლის კანონი №1231 – პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998წ., გვ. 24](#)

[საქართველოს 1998 წლის 28 აპრილის კანონი №1347 – პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998წ., გვ. 17](#)

[საქართველოს 1998 წლის 28 აპრილის კანონი №1349 – პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998წ., გვ. 18](#)

[საქართველოს 1998 წლის 17 სექტემბრის კანონი №1573 – სსმ I, №2, 26.10.1998წ., მუხ.6](#)

[საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონი №1682 – სსმ I, №4, 20.11.1998წ., მუხ.39](#)

[საქართველოს 1998 წლის 25 ნოემბრის კანონი №1698 – სსმ I, №6, 24.12.1998წ., მუხ.46](#)

[საქართველოს 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი №1747 – სსმ I, №1\(8\), 14.01.1999წ., მუხ.2](#)

[საქართველოს 1999 წლის 30 აპრილის კანონი №1934 – სსმ I, №15\(22\), 14.05.1999წ., მუხ.63](#)

[საქართველოს 1999 წლის 28 მაისის კანონი №1981 – სსმ I, №19\(26\), 04.06.1999წ., მუხ.77](#)

[საქართველოს 1999 წლის 9 ივნისის კანონი №2070 – სსმ I, №24\(31\), 26.06.1999წ., მუხ.109](#)

[საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონი №2130 – სსმ I, №25\(32\), 02.07.1999წ., მუხ.133](#)

[საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის კანონი №2148 – სსმ I, №27\(34\), 06.07.1999წ., მუხ.143](#)

[საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის კანონი №2299 – სსმ I, №40\(47\), 11.08.1999წ., მუხ.203](#)

[საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2382 – სსმ I, №43\(50\), 21.09.1999წ., მუხ.221](#)

[საქართველოს 2000 წლის 10 მარტის კანონი №199 – სსმ I, №12, 27.03.2000წ., მუხ.28](#)

[საქართველოს 2000 წლის 24 მარტის კანონი №244 – სსმ I, №13, 13.04.2000წ., მუხ.34](#)

[საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონი №285 – სსმ I, №18, 15.05.2000წ., მუხ.47](#)

[საქართველოს 2000 წლის 14 ივნისის კანონი №380 – სსმ I, №24, 30.06.2000წ., მუხ.65](#)

[საქართველოს 2000 წლის 28 ივნისის კანონი №419 – სსმ I, №26, 13.07.2000წ., მუხ.76](#)

[საქართველოს 2000 წლის 29 ივნისის კანონი №439 – სსმ I, №26, 13.07.2000წ., მუხ.77](#)

[საქართველოს 2000 წლის 13 დეკემბრის კანონი №686 – სსმ I, №51, 30.12.2000წ., მუხ.149](#)



[საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №753 – სსმ I, №6, 20.03.2001 წ., მუხ.12](#)
[საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №765 – სსმ I, №6, 20.03.2001წ., მუხ.18](#)
[საქართველოს 2001 წლის 19 ივნისის კანონი №934 – სსმ I, №19, 02.07.2001წ., მუხ.64](#)
[საქართველოს 2001 წლის 12 ოქტომბრის კანონი №1106 – სსმ I, №31, 01.11.2001წ., მუხ.123](#)
[საქართველოს 2001 წლის 8 დეკემბრის კანონი №1193 – სსმ I, №36, 31.12.2001წ., მუხ.141](#)
[საქართველოს 2002 წლის 1 მარტის კანონი №1316 – სსმ I, №5, 21.03.2002წ., მუხ.31](#)
[საქართველოს 2002 წლის 21 ივნისის კანონი №1567 – სსმ I, №21, 12.07.2002წ., მუხ.95](#)
[საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1619 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.109](#)
[საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1621 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.110](#)
[საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1625 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.112](#)
[საქართველოს 2002 წლის 4 ივლისის კანონი №1637 – სსმ I, №23, 24.07.2002წ., მუხ.118](#)
[საქართველოს 2002 წლის 6 ნოემბრის კანონი №1708 – სსმ I, №30, 27.11.2002წ., მუხ.133](#)
[საქართველოს 2002 წლის 19 ნოემბრის კანონი №1738 – სსმ I, №31, 10.12.2002წ., მუხ.136](#)
[საქართველოს 2002 წლის 19 ნოემბრის კანონი №1753 – სსმ I, №31, 10.12.2002წ., მუხ.139](#)
[საქართველოს 2002 წლის 22 ნოემბრის კანონი №1770 – სსმ I, №31, 10.12.2002წ., მუხ.145](#)
[საქართველოს 2002 წლის 25 დეკემბრის კანონი №1859 – სსმ I, №3, 17.01.2003წ., მუხ.12](#)
[საქართველოს 2003 წლის 28 მარტის კანონი №2030 – სსმ I, №9, 16.04.2003წ., მუხ.49](#)
[საქართველოს 2003 წლის 8 მაისის კანონი №2291 – სსმ I, №15, 04.06.2003წ., მუხ.111](#)
[საქართველოს 2003 წლის 6 ივნისის კანონი №2352 – სსმ I, №18, 24.06.2003წ., მუხ.116](#)
[საქართველოს 2003 წლის 23 ივლისის კანონი №2577 – სსმ I, №23, 12.08.2003წ., მუხ.170](#)
[საქართველოს 2003 წლის 14 აგვისტოს კანონი №2963 – სსმ I, №27, 10.09.2003წ., მუხ.198](#)
[საქართველოს 2003 წლის 5 დეკემბრის კანონი №3136 – სსმ I, №32, 22.12.2003წ., მუხ.234](#)
